დანართი №2

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვერიკო ჭიღლაძე
წევრები:
თაბუკა ციმინტია
ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 402019917

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 მარტის MES 9 26 0000330901 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის "რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი იქნა ვიზიტის დღის წესრიგი და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა ბრძანების შესაბამისად 2026 წლის 2 აპრილს (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად სრულად ეთანხმება დასკვნაში წარმოდგენილ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 19.11.2025 № 235 ბრძანებით; ცვლილება შესულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის №81 ბრძანებით.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის №168 ბრძანებით) შესაბამისად. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების თანახმად კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სრულად პასუხობს მის მისიას და გათვალისწინებულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროგრამების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას ადმინისტრაცია იღებს შრომის ბაზრის ანალიზისა და საკუთარი რესურსების შეფასების საფუძველზე. ამ პროცესში კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს სს „საქართველოს რკინიგზასთან“, რათა ზუსტად განსაზღვროს კადრების მომზადების საჭირო მიმართულებები და რაოდენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამა სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია სარკინიგზო დარგში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ვინაიდან მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი სარკინიგზო ინდუსტრიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა, პროფესიული საგანმანათლებლოა პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" განხორციელება განიხილება როგორც ინსტიტუციური გამოწვევა სს „საქართველოს რკინიგზის" პრიორიტეტული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სს „საქართველოს რკინიგზა" ახორციელებს მაგისტრალის სრულ მოდერნიზაციას, რაც მოიცავს მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების, უპირაპირო წნულების, თანამედროვე სამაგრებისა (პანდროლი, ფოსლო) და რკინაბეტონის შპალების მონტაჟს. აღნიშნული სამუშაოების ხარისხიანი შესრულება და შემდგომი შენარჩუნება საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალ კადრებს. პროგრამა ითვალისწინებს ისეთ თავისებურებებს, როგორიცაა კავკასიის რეგიონში ყველაზე გრძელი (8,3 კმ) გვირაბის, ხიდებისა და ევროპული სტანდარტის (1435 მმ) ლიანდაგის მოწყობა-მომსახურება (ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთი).

დასაბუთებაში ხაზგასმულია, რომ სალიანდაგო მიმართულებით რთულად მიმდინარეობს პერსონალის განახლების პროცესი. ვაკანტურ პოზიციებზე ხშირად საქმდებოდნენ პირები საბაზისო კვალიფიკაციის გარეშე, რაც აფერხებს სამუშაო პროცესს. ვინაიდან საბაკალავრო პროგრამებით ამ მიმართულების კადრები აღარ მზადდება, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება ტექნიკური პერსონალისა და საშუალო რგოლის ინჟინრების მომზადება პროფესიული განათლების დონეზე. „სარკინიგზო ტრანსპორტის სექტორში უნარებზე მოთხოვნის კვლევის" მიხედვით, აღნიშნული პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია შრომის ბაზარზე.

საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტია „შუა დერეფნის" ფარგლებში მთავარი როლის უზრუნველყოფა. უკრაინა-რუსეთის ომის შემდეგ ამ დერეფნის სტრატეგიული ფუნქცია გაიზარდა, რაც ავტომატურად ზრდის მოთხოვნას გამართულ სარკინიგზო ინფრასტრუქტურასა და კვალიფიციურ სპეციალისტებზე. კვალიფიციური კადრების არსებობა ხელს უწყობს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდას, ექსპორტის წახალისებასა და მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას 1992 კმ-ის სიგრძის გაშლილ ლიანდაგზე.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანებით, მოდიფიცირებულია: დირექტორის 2026 წლის 20 მარტის № 81 ბრძანებით) დაშვების წინაპირობაა:

- სრული ზოგადი განათლება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პირობები განისაზღვრულია ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით), რომლის თანახმადაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებია:

- დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
- აპლიკანტთა რეგისტრაცია;
- შერჩევა;
- აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;
- შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში.

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით 2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით) მიხედვით დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა;
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ერთი სასწავლო A, B, C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ჰყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას სს საქართველოს რკინიგზაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 80 პროფესიული სტუდენტის ოდენობით (აქედან 20 ინტეგრირებული). პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით 2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია მოდულის სწავლის შედეგებთან.

ექსპერტთა შეფასებით 2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

2.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ასევე, კოლეჯის მიერ შემუშავებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი" (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით). დოკუმენტში მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესის თანახმად პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანებით (მოდიფიცირებულია: დირექტორის 2026 წლის 20 მარტის №81 ბრძანებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტთა შეფასებით 2.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა; Railroad track construction (07.19.1) საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სარკინიგზო სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის მცდარ წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

შესაბამისად 2.1.1.7 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა; Railroad track construction (07.19.1) დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრული არის პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებს და სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც, რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.

სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების №170/ნ (2019 წლის 19 აგვისტო) „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები" შესაბამისად და სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" პაკეტი (დამტკიცებულია დირექტორის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანებით, მოდიფიცირებულია: დირექტორის 2026 წლის 20 მარტის № 81 ბრძანებით);
2. კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლებისთვის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით)
4. დანართი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
5. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით);
6. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით);
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა"მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
8. დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
9. კოლეჯის წესდება;
10. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი" (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით).

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" ხორციელდება ქ. თბილისში, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10, შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 80 (მათ შორის იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს 20 პროფესიული სტუდენტი) პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კოლეჯის მიერ გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები:

ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილია 3 აუდიტორია, სადაც განთავსებულია - მეცნიერება და ტექნოლოგიები შესაბამისი მატერიალური რესურსები. აღნიშნულ გარემოების დატვირთვა უზრუნველყოფს 30 სტუდენტის გატარებას.

A სასწავლო გარემო (№306,507) - აღჭურვილია:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 15ც
- დემონსტრირების საშუალება - 1ც
- დაფა - 1 ც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

აუდიტორია №306 ასევე გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სავაგონო მეურნეობა" და „სარკინიგზო გადაზიდვები", ხოლო №507 ასევე გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სარელსო დეფექტოსკოპია". ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სასწავლო ცხრილები და დადგინდა ოთხივე პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აუდიტორიების გამტარუნარიანობა.

B სასწავლო გარემო (№304)- აღჭურვილია:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (აღჭურვილი პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემით) - 15 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი (აღჭურვილი პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემით) - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 15 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- ინტერნეტის ქსელში ჩართული კომბაინი - 1 ც;
- დაფა - 1 ც.

C პრაქტიკული სწავლების გარემო (აუდიტორია №107):

განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს გააჩნია სათანადო პარამეტრების მქონე ლიანდაგის პოლიგონი სადაც მოწყობილია შესაბამისი ისრული გადამყვანი.

პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 80 პროფესიული სტუდენტით. აქედან 20 პროფესიული სტუდენტი იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. კოლეჯი წელიწადში ორი მიღების ფარგლებში (საგაზაფხულო, საშემოდგომო) სულ მიიღებს 80 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის არაინტეგრირებულ პროგრამაზე 60-ს და ინტეგრირებულის შემთხვევაში კი 20-ს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ არაინტეგრირებული ჯგუფი დაკომპლექტდება 15 პროფესიული სტუდენტით, ხოლო ინტეგრირებული კი 10 პროფესიული სტუდენტით. შესაბამისად სააუდიტორიო, მატერიალური, ადამიანური რესურსები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობები განხილულია 3 ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით. არ მოხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვადასხვა ნაკადის პროფესიული სტუდენტების ჯამით მოთხოვნილი საერთო რაოდენობის გადაჭარბება. სააუდიტორიო, მატერიალური, ადამიანური რესურსები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობები განხილულია 3 ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით.

დაწესებულებას პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს საქართველოს რკინიგზასთან. ხელშეკრულების დანართით განსაზღვეულია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები:

- რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება - საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგი: 2. რკინიგზის მშენებლის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება.
- რკინიგზის მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა - საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგი: 3. მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვა.
- ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა - საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგი: 5. ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვის სამუშაოების წარმოება.
- ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლა - საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგი: 6. ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლისა და დაგების სამუშაოთა შესრულება.
- ლიანდაგის მონიტორინგი/ინსპექტირება - საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები: 6. მატარებლის გავლის დროს ლიანდაგსა და მოძრავ შემადგენლობაზე დაკვირვება; 7. ლიანდაგის წესივრული მდგომარეობის მონიტორინგის/ინსპექტირების პროცესის შესრულება.
- ლიანდაგის ზედანაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენა - საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგი: 3. ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენა.
- პრაქტიკული პროექტი - რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა - საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები: 1. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად დაგეგმვა; 2. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება; 3. შესრულებული ამოცანების ანგარიშგება.

ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას იღებს ზემო აღნიშნული მოდულების სწავლის შედეგების განხორციელებაზე, სტუდენტისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მასალ-ნედლეულით უზრუნველყოფაზე და შრომით უსაფრთხოებაზე.

სს საქართველოს რკინიგზა - უზრუნველყოფს 80 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე მიღებას, მათ შორის 20 ინტეგრირებული სწავლების სტუდენტს. ამასთან ერთდროულად მიღების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 45 პირს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს პრაქტიკის ობიექტების შემოწმებით დადასტურდა სწავლის შედეგების განხორციელების შესაძლებლობა და მატერიალური რესურსების ფლობა კვოტით განსაზრვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა"განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. ა(ა)იპ "სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა"განხორციელებისთვის ჰყავს 54 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს, 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ინტეგრირებულ მოდულებს და 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი - პროფესიულ მოდულებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ და პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ მოდულზე გათვალისწინებულია მინიმუმ ორი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა შესაძლებელია განახორციელოს რამოდენიმე სხვადასხვა მოდული, შრომის კოდექსით გათვალისწინებული ჩასატარებელიკვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 სთ) გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები. ა(ა)იპ "სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში" განსაზღვრული პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად საქმეში წარმოდგენილი იყო განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები ან/და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები ან/და პარტნიორი ორგანიზაციებიდან გაცემული პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები.

პროგრამის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული მოწვეული სპეციალისტები, პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები. მათი მონაწილეობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულ თანხვედრას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

პირადი საქმეების შესწავლით და გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები ფლობენ როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. ასევე გამოიკვეთა, რომ განმახორციელებელმა პერსონალმა გაიარა პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვნად აძლიერებს მათ სწავლების მეთოდებს და პროფესიულ შესაძლებლობებს, რაც პირდაპირ აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების ადაპტირების პროცესში, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში. განხორციელების პროცესი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სამართლებრივი პირობები, კონკრეტული მოდულები, ფუნქცია-მოვალეობები და სასწავლო დატვირთვა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა"ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. დაწესებულების მიერ ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, ასევე მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, საქმიანობისას ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შემხვედრ საჭიროებებს და ახდენს მათზე მოქნილ რეაგირებას.მას უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, ა(ა)იპ "სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა"კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბერს №235 ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისაა და კომპეტენციის პროგრამის ხელმძღვანელი.

ინტერვიურების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხდელმისაწვდომობის შემოწმების მიზნით მოხდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. აღნიშნულის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა"საგნამანთლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული მასალები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და ხელმისაწვდომია კოლეჯის დაინტერესებული პირებისთვის. საბიბლიოთეკო პროგრამის Openbiblo-ს მეშვეობით პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერი წერტილიდან ისარგებლოს ელექტრონული მასალებით. კოლეჯში საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში განთავსებული შესაბამისი მოწყობილობის საშუალებით სტუდენტს საშუალება აქვს, სურვილის შემთხვევაში, ამობეჭდოს ან/და გადაამრავლოს საგანმანათლებლო მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) თავი V-ში გაწერილი მექანიზმები არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის შედგენის პროცედურებსა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესს. დოკუმენტის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტისას ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა სასწავლო გარემოების ადაპტირება მარტივი გადაადგილებისთვის. შენობას აქვს ფუნქციურად გამართული და უსაფრთხო ლიფტი. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება მზად არის საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს და შეუფერხებლად დაორგანიზოს შესაბამისი სერვისების მიწოდება.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დანართი3. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. იმ სასწავლო პროგრამისთვის რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ მოდულებს რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 10 პროფესიული სტუდენტი, ხოლო არაინტეგრირებული სწავლების ფორმიოსთვის - 15 პროფესიული სტუდენტი.

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილს წარმოადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეული (პროგრამული მხარდაჭერა, უზრუნველყოფა და პროგრამის განვითარება),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ადმინისტრირება, საქონელი და მომსახურება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ფინანსური რესურსის გაანგარიშება რელევანტურია და აღნიშნული პროგნოზირება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.7 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
2. მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. ხელშეკრულება №იუს/26-018 - სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ შორის პროფესიული საგაწმანათლებლო პროგრამის - „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა” განხორციელების შესახებ, რომლის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის დოკუმენტი;
5. პირადი საქმეები;
6. გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
7. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
8. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანება;
9. ბიბლიოთეკის და საგანმანათლებლო რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
10. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით);
11. ბიუჯეტი;
12. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის" (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით) თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა:

ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;

ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;

გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;

დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;

ე) ვერიფიკაცია.

პროგრამების შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალმხრივ კვლევას, რაც ხორციელდება ოთხი ძირითადი სამიზნე ჯგუფის - პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული მასწავლებლების და დამსაქმებლების სისტემური გამოკითხვის გზით. შეფასების სისტემის ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რევიზია. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს სასწავლო და დამხმარე თვალსაჩინოებების ადეკვატურობას და მათ შესაბამისობას გამოყენებულ სწავლების მეთოდოლოგიასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობისა და საგამოცდო მასალის სრულყოფილების შემოწმებას. მონიტორინგის პროცესში დგინდება:

- რამდენად ფარავს შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად მასალას;
- იძლევა თუ არა გამოყენებული მეთოდები სწავლის შედეგების ობიექტური დადასტურების შესაძლებლობას;
- შეესაბამება თუ არა არსებული მრავალკომპონენტიანი სისტემა დადგენილ რეგულაციებს.

ასევე ფასდება სასწავლო პროცესის ინტერაქციულობის ხარისხი და მასწავლებელთა მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის ეფექტიანობა და მათი კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის თავსებადობის ანალიზი მოქმედ პროფესიულ სტანდარტებთან მიმართებაში.

ექსპერტთა შეფასებით 2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. მექანიზმების თანახმად მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს არგუმენტირებულ რეკომენდაციებს, რომლებიც პროგრამული განვითარების მიზნით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. პარალელურად, მენეჯერი კურირებს მასწავლებლების პროფესიული ზრდის პროცესს, რაც მოიცავს ტრენინგებს, მასტერკლასებსა და აკადემიური კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმებს.

საგანმანათლებლო პროგრამებში ან მოდულებში ცვლილებების შეტანა ხდება სისტემური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ხარისხის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გამოვლენილი საჭიროებები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტსა თუ ჩარჩო დოკუმენტში შესული ცვლილებები;
- შრომის ბაზრის დინამიკური მოთხოვნები ან სხვა ობიექტური გარემოებები.

კოლეჯში არსებული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგები არ დარჩეს რეაგირების გარეშე და საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი წესით აისახოს პროგრამულ ცვლილებებში.

ექსპერტთა შეფასებით 2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი" (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო გეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა"და ასევე სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. სასწავლო გეგმა არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში გაწერილია 17 თვეზე, ინტეგრირების შემთხვევაში კი 21 თვეზე. მათი შედგენისას გათვალისწინებულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროცესის განხორციელების ცხრილები. სასწავლო გეგმა იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად განხორციელების პროგნოზს.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

2. სასწავლო პროცესის ორგანიზება დარეგულირებულია ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) მუხლი 30. სასწავლო პროცესის წარმართვა. ნაწილობრივ დისტანციური სწავლების განხორციელების შემთხვევაში სწავლების ორგანიზება და პასუხსიმგებლობები რეგულირდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობებით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №157 ბრძანებით).

პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, ან შეჭრილი გრაფიკით. ცხრილების შედგენისა და ჯგუფების გადანაწილებისას ადმინისტრაციის მიერ ხდება სტუდენტთა ინტერესების და სამუშაო გრაფიკის გათვალისიწნება. პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ ჯგუფურ სასწავლო ცხრილს საკონტაქტო საათების 4 დღეზე, მათ შორის 3 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილებით. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ხელშეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე. აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა” სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას. სს საქართველოს რკინიგზის მიერ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგანმანათლებლო პროგრამების ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა" და ,,სარელსო დეფექტოსკოპია“ განვითარებისა და პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვანი განხორციელების მიზნით, კოლეჯის ეზოში არსებული ლიანდაგის პოლიგონის გასწვრივ მოწყობილ იქნა ბეტონის საფარიანი მოედანი და კოლეჯს შესაბამისი სრული კომპლექტაციით გადაეცა ულტრაბგერითი დეფექტოსკოპიის აპარატი РДМ – 34.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია.

ექსპერტთა შეფასებით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა” განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) გაწერილია მექანიზმები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის შედგენის პროცედურების შესახებ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება მაშინ როდესაც:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების სხვა დადასტურების შემთხვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების მიერ თითოეული შემთხვევისთვის მკაფიოდ გაწერილია ორგანიზების პროცედურები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. წესის თანახმად პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. დაწესებულებას პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელებისათვის 2026 წლის 26 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №იუს/26-018 სს საქართველოს რკინიგზასთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ შორის პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის - „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა” განხორციელება, რომლის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ხელშეკრულება მოქმედია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები (დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №30 ბრძანებით, ცვლილება - 2024 წლის 02 აპრილის №38 ბრძანებით.)

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო გეგმები;
2. სასწავლო ცხრილები;
3. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით)
4. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობებით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №157 ბრძანებით);
5. ხელშეკრულება №იუს/26-018 - სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ შორის პროფესიული საგაწმანათლებლო პროგრამის - „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა” განხორციელების შესახებ, რომლის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
6. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები (დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №30 ბრძანებით, ცვლილება - 2024 წლის 02 აპრილის №38 ბრძანებით.);
7. ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის № 30 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 202 5 წლის 01 ოქტომბრის № 169 ბრძანებით) მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტის შეფასების მექანიზმები. შეფასება ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ და ვალიდირებულ ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მიზნის შესაბამისობას სწავლის შედეგებთან. სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, რაც განაპირობებს იდენტურ შედეგებს შემფასებლისა თუ შეფასების დროის ცვლილების მიუხედავად. ხორციელდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, რომლის დროსაც სპეციალური ჯგუფი ამოწმებს, რამდენად ვალიდური და ობიექტური იყო სტუდენტთა შეფასების პროცესი. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. სტუდენტს აქვს უფლება, არასამართლიანი შეფასების შემთხვევაში მიმართოს სააპელაციო მექანიზმს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა სპეციალური კომისიის მიერ. შეფასების პროცესი ეყრდნობა მხოლოდ მატერიალურ ან ციფრულ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ სწავლის შედეგის მიღწევას. თითოეული სტუდენტის შეფასების შედეგები და მტკიცებულებები ინახება ინდივიდუალურ პორტფოლიოში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიკვლევადობასა და ობიექტურობას.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის თანახმად დაწესებულებაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მყარ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. სისტემის ობიექტურობის დასაცავად, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისა თუ შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხორციელდება წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემისა და რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. პროცედურის დასრულების შემდეგ დგება დასკვნა, სადაც ფასდება შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. დადებითად ვერიფიცირებულ ინსტრუმენტებზე კეთდება შესაბამისი აღნიშვნა - „ვერიფიცირებულია“. ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში, იქმნება რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი.

ამგვარად, ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ქმედით ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მუხლი 7, პუნქტი 5-ის თანახმად შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები უვადოდ.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სტუდენტის მხარდაჭერისა და განვითარებისთვის, ისე სასწავლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სისტემა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდებას, მათთვის ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავებას და მიღებული შედეგების ანალიზს სწავლების პროცესის სრულყოფის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეჯი აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ და მათ იყენებს პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგისათვის. შუალედური შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ, სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი თითოეული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც თავსდება სტუდენტის პორტფოლიოში და მას სავალდებულოა გაეცნოს საწარმოს ინსტრუქტორი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიმართულია სტუდენტის განვითარების დინამიკაზე, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და სტუდენტის მხარდაჭერაზე.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის № 30 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 202 5 წლის 01 ოქტომბრის № 169 ბრძანებით);
2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება - 202 4 წლის 26 აპრილის №56 ბრძანებით);
3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.04.2026

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---